BANK OF GEORGIA
HOLDINGS PLC

No._____

"21" XII 2012

სს „კავკასრეესტრს"
სს „საქართველოს საფონდო ბირჟას"

ბატონებო,

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე–15 მუხლის, მე–8 პუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის #20/01 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება–მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის" მე–12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს–ს (Bank of Georgia Holdings Plc) მიერ 2011 წლის 21 დეკემბერს გაზეთ „24 საათში" გამოცხადებულ იქნა სატენდერო შეთავაზება სს „საქართველოს ბანკის" აქციებზე. სატენდერო შეთავაზება განხორციელდება წინამდებარე წერილზე თანდართულ სატენდერო შეთავაზების განცხადებაში მითითებული ფორმით.

პატივისცემით,

ირაკლი გილაური

დანართი: სატენდერო შეთავაზების განცხადება – 14 გვ.

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

სატენდერო შეთავაზება

ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს (Bank of Georgia Holdings Plc), ინგლისსა და უელსში დაფუძნებული და რეგისტრირებული კომპანია, რეგისტრაციის ნომრით 7811410 (შემდგომში – „შემთავაზებელი“) აცხადებს სატენდერო შეთავაზებას (შემდგომში – „სატენდერო შეთავაზება“) სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში – „საქართველოს ბანკი“) ყველა ჩვეულებრივ აქციაზე (ISIN: GE1100000276) (შემდგომში – „ბანკის აქციები“), მიუხედავად იმისა, ამგვარ აქციებს შესაბამისი პირები ფლობენ პირდაპირ, თუ საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების მეშვეობით. სატენდერო შეთავაზება ხორციელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–15 მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №20/01 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება–მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის“ შესაბამისად.

1. ზოგადი ინფორმაცია

ბანკის აქციები 2000 წლიდან არის სავაჭროდ დაშვებული და იმყოფება საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში. გარდა აღნიშნულისა, 2006 წლიდან საქართველოს ბანკის აქციები ასევე იმყოფება გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მომსახურების სააგენტოს (UK Financial Services Authority) მიერ დამტკიცებული ფასიანი ქაღალდების ოფიციალური სიის (Official List of Securities) ლისტინგში და დაშვებული სავაჭროდ ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითად ბაზარზე (London Stock Exchange's main market) საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების („სდხ“) ფორმით, რომლებიც გაცემულია საქართველოს ბანკსა და ბენქ ოფ ნიუ იორკ მელონ–ს (Bank of New York Mellon) შორის გაფორმებული დეპოზიტის ხელშეკრულების საფუძველზე („სდხ ლისტინგი“).

2011 წლის 5 სექტემბერს საქართველოს ბანკმა განაცხადა მისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ უზრუნველეყო ახალი კომპანიის (კერძოდ, შემთავაზებლის) დაფუძნება ინგლისსა და უელსში, რომელიც გახდება საქართველოს ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში – „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) ჰოლდინგური კომპანია და რომლის აქციებიც სატენდერო შეთავაზების დასრულების შემდგომ დაშვებული იქნება გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ლისტინგის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში (premium listing segment of the Official List of the UK Financial Services Authority) და ლონდონის საფონდო ბირჟაზე (London Stock Exchange) (შემდგომში „ლისტინგში დაშვება“).

ლისტინგში დაშვების შემდგომ შემთავაზებელი ჩაერთვება FTSE Index–ში. შემთავაზებლის დირექტორთა საბჭო მიიჩნევს, რომ ლისტინგში დაშვება და FTSE Index–ში ჩართვა საშუალებას მისცემს საქართველოს ბანკის ჯგუფს კიდევ უფრო დახვეწოს კორპორატიული მართვის პრინციპები, გაზარდოს საქართველოს ბანკის ჯგუფის ცნობადობა, მოიზიდოს ინვესტორთა უფრო ფართო წრე და გაზარდოს მის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობა. როგორც პრემიუმ ლისტინგში დაშვებული კომპანია, შემთავაზებელი

დაექვემდებარება კიდევ უფრო ვრცელ და მკაცრ ანგარიშგებისა და საჯაროობის მოთხოვნებს, ვიდრე დღეისათვის სდხ ლისტინგიდან გამომდინარე საქართველოს ბანკისათვის დაწესებული მოთხოვნებია.

როგორც ეს განცხადებული იქნა 2011 წლის 5 სექტემბრის პრეს–რელიზში, საქართველოს ბანკის ჯგუფის ახალი კორპორატიული სტრუქტურის ჩამოყალიბება მოხდება შემთავაზებლის მიერ განხორციელებული სატენდერო შეთავაზების გზით, რომელიც გავრცელდება ყველა არსებულ ან მომავალში ემიტირებულ ბანკის აქციაზე (სდხ–ების ჩათვლით). როგორც ეს მოცემულია წინამდებარე განცხადების პუნქტ 3.6(გ)–ში, სატენდერო შეთავაზების დასრულების ერთ–ერთ პირობას წარმოადგენს ლისტინგში დაშვება. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება პუნქტ 3.6–ში მითითებული სატენდერო შეთავაზების ყველა პირობა, შეთავაზების შედეგად საქართველოს ბანკი გახდება შემთავაზებლის შვილობილი კომპანია. სატენდერო შეთავაზების დასრულების შემდეგ შემთავაზებლის ერთადერთი აქტივი იქნება საქართველოს ბანკის ჩვეულებრივი აქციები და ის ნომინალური თანხები, რაც აუცილებელია სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული მომსახურების ასანაზღაურებლად. სატენდერო შეთავაზების დასრულების შემდგომ შემთავაზებელს არ ექნება რაიმე სახის მნიშვნელოვანი ვალდებულება, გარდა იმ ვალდებულებებისა, რაც გამომდინარეობს ლისტინგში დაშვებიდან და სატენდერო შეთავაზებიდან.

შემთავაზებელი მიიჩნევს, რომ სატენდერო შეთავაზების შედეგად საქართველოს ბანკის ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები დარჩება უცვლელი. გარდა აღნიშნულისა, სატენდერო შეთავაზება არ გამოიწვევს საქართველოს ბანკის ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების, სტრატეგიისა და საქმიანობის ცვლილებას და საქართველოს ბანკის ჯგუფის საქმიანობა განხორციელდება იმავე გეოგრაფიულ არეალში, სადაც ხორციელდებოდა სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე. ამასთანავე, სატენდერო შეთავაზების შედეგად, საქართველოს ბანკის ბენეფიციარი აქციონერების სტრუქტურა პრაქტიკულად არ შეიცვლება.

2. ინფორმაცია შემთავაზებლის შესახებ

შემთავაზებელი – ბენქ ოფ ჯორჯია ჰოლდინგზ პლს (Bank of Georgia Holdings Plc) – რეგისტრირებულ იქნა 2011 წლის 14 ოქტომბერს ინგლისსა და უელსში რეგისტრაციის ნომრით 7811410. შემთავაზებლის იურიდიული მისამართია: დიდი ბრიტანეთი, W1K 5EH, ლონდონი, ბრუქის ქ., 84 (84 Brook Street, London, W1K 5EH, UK.).

სატენდერო შეთავაზების გამოცხადების თარიღისათვის შემთავაზებლის სააქციო კაპიტალი შეადგენს 1 (ერთ) ცალ ჩვეულებრივ აქციას და 50,000 ცალ პრივილეგირებულ აქციას ხმის უფლების გარეშე. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1.00 ფუნტი. სატენდერო შეთავაზების დასრულების შემდგომ ზემოაღნიშნული 1 (ერთი) ცალი ჩვეულებრივი აქცია უსასყიდლოდ იქნება შეძენილი შემთავაზებლის მიერ და გაუქმდება. 50,000 ცალი პრივილეგირებული აქციის გამოსყიდვა შემთავაზებლის მიერ გამიზნულია ლისტინგში დაშვების შემდგომ.

შემთავაზებლის დირექტორთა საბჭო შედგება საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ამჟამინდელი წევრებისაგან და საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორისაგან. საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი ასევე იქნება შემთავაზებლის გენერალური

დირექტორიც. შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული აუდიტის, კომპენსაციის, წარდგინებისა და აღმასრულებელი კომიტეტები დაკომპლექტებულია შემთავაზებლის დირექტორთა საბჭოს წევრებით.

დამატებითი ინფორმაცია შემთავაზებლის, მისი მენეჯმენტისა და აქციების თაობაზე ხელმისაწვდომია შემთავაზებლის პროსპექტში და სხვა სატენდერო დოკუმენტაციაში (შემდგომში, წინამდებარე სატენდერო შეთავაზების განცხადებასთან ერთად – „სატენდერო დოკუმენტები") შემდეგ ვებ–გვერდზე: www.bogh.co.uk ან/და www.bankofgeorgia.ge.

3. ინფორმაცია სატენდერო შეთავაზების თაობაზე

3.1. ფასიანი ქაღალდების ის კლასი, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს

სატენდერო შეთავაზება ხორციელდება ბანკის ყველა ჩვეულებრივ აქციაზე, მიუხედავად იმისა, შესაბამის მფლობელებს ამგვარ აქციებზე გააჩნიათ უფლებები პირდაპირ, თუ სდხ–ების მეშვეობით. იმ აქციებთან მიმართებაში, რომლებზეც უფლებები დასტურდება სდხ–ების მეშვეობით, სდხ–ების მფლობელებმა უნდა გაითვალისწინონ სატენდერო შეთავაზების ის პირობები, რომლებიც ასახულია სდხ–ებთან დაკავშირებით ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად გაკეთებულ შეთავაზებაში, რომელიც გამოცხადდა წინამდებარე სატენდერო შეთავაზების პარალელურად და რომლის პირობებიც იდენტურია წინამდებარე სატენდერო შეთავაზების პირობებისა.

სატენდერო შეთავაზების მიმღები რეგისტრირებული მფლობელების მიერ სატენდერო შეთავაზების ფარგლებში შემთავაზებლისათვის გადაცემული ბანკის აქციების ღირებულება უნდა იყოს სრულად შევსებული, ბანკის აქციებზე არ უნდა ვრცელდებოდეს ნებისმიერი სახის გირაო, ყადაღა, შეზღუდვა, ოფცია, ან მესამე მხარეთა უფლებები, და მათზე სრულად უნდა ვრცელდებოდეს ყველა ის უფლება (არსებული ან მომავალში წარმოშობილი), რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ხმის უფლებას და სატენდერო შეთავაზების დასრულების შემდეგ გამოცხადებული, გადახდილი ან გადასახდელი დივიდენდის მიღების უფლებას.

აქციონერებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ლისტინგში დაშვების შემდგომ საქართველოს ბანკს გამიზნული აქვს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ყველა იმ აუცილებელი ქმედების განხორციელება, რაც აუცილებელია სდხ ლისტინგის გასაუქმებლად. სდხ–ების ლისტინგის გაუქმების შემდგომ შეწყდება საქართველოს ბანკის სდხ–ების პროგრამა. დამატებითი ინფორმაცია ლისტინგის გაუქმების თაობაზე შესაბამის სდხ–ების მფლობელებს მიეწოდებათ მოგვიანებით.

3.2. ფასიანი ქაღალდების ის რაოდენობა, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს

წინამდებარე განცხადების თარიღისათვის საქართველოს ბანკის ემიტირებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 32,877,547 ჩვეულებრივ აქციას. გარდა აღნიშნულისა, სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე (როგორც ეს მოცემულია ქვემოთ) საქართველოს ბანკმა შესაძლოა მოახდინოს 3,635,006 ცალი ახალი აქციის ემისია და განთავსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (European Bank for Reconstruction and Development) („ერგბ") და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისათვის (International

Finance Corporation) („სსკ"), რაც განხორციელდება (ა) საქართველოს ბანკსა და ერგბ–ს შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულების; (ბ) საქართველოს ბანკსა და სსკ–ს შორის 2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულების; (გ) 2009 წლის 15 ივნისის საქართველოს ბანკის აქციონერთა კრების გადაწყვეტილების; (დ) საქართველოს ბანკს, შემთავაზებელს და ერგბ–ს შორის 2011 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული სესხის კონვერტაციისა და სატენდერო შეთავაზების მიღების შესახებ ხელშეკრულებისა; და (ე) საქართველოს ბანკს, შემთავაზებელს და სსკ–ს შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული სესხის კონვერტაციისა და სატენდერო შეთავაზების მიღების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სატენდერო შეთავაზება ხორციელდება ყველა ზემოაღნიშნულ ემიტირებულ და ემიტირებად ბანკის აქციაზე. ამასთან, სატენდერო შეთავაზების ერთ–ერთ პირობას წარმოადგენს სატენდერო შეთავაზების მიღება ბანკის აქციების იმ მინიმალურ ოდენობაზე, რაც მოცემულია წინამდებარე განცხადების 3.6 (ა) პუნქტში.

3.3. ის ანაზღაურება, რომლითაც შემთავაზებელს ფასიანი ქაღალდების შეძენა სურს

თითოეულ ბანკის აქციის სანაცვლოდ, რომელთან დაკავშირებითაც ბანკის აქციების რეგისტრირებული მფლობელი მიიღებს სატენდერო შეთავაზებას, შემთავაზებელი უზრუნველყოფს შემთავაზებლის ერთი ახალი ჩვეულებრივი აქციის („შემთავაზებლის აქცია" ან „შემთავაზებლის აქციები") ემისიას და გაცემას რეგისტრირებული მფლობელის სახელზე.

შემთავაზებლის მიერ სატენდერო შეთავაზების ფარგლებში შეთავაზების მიმღები რეგისტრირებული მფლობელების სასარგებლოდ ემიტირებული შემთავაზებლის აქციების ღირებულება იქნება სრულად შევსებული, შემთავაზებლის აქციებზე არ უნდა ვრცელდებოდეს ნებისმიერი სახის გირაო, ყადაღა, შეზღუდვა, ოფცია, ან მესამე მხარეთა უფლებები, და მათზე სრულად უნდა ვრცელდებოდეს ყველა ის უფლება (არსებული ან მომავალში წარმოშობილი), რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ხმის უფლებას და სატენდერო შეთავაზების დასრულების შემდეგ გამოცხადებული, გადახდილი ან გადასახდელი დივიდენდის მიღების უფლებას.

სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლისთანავე (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) მოხდება განაცხადის წარდგენა ლისტინგში დაშვების მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია შემთავაზებლისა და შემთავაზებლის აქციების თაობაზე ხელმისაწვდომია სატენდერო დოკუმენტებში შემდეგ ვებ–გვერდზე: www.bogh.co.uk ან/და www.bankofgeorgia.ge.

3.4. ბანკის აქციების კლასი და რაოდენობა, რომლის რეგისტრირებული მფლობელი ან/და მინდობილობით მფლობელი არის შემთავაზებელი

წინამდებარე განცხადების თარიღისათვის შემთავაზებელი არ ფლობს (როგორც რეგისტრირებული მფლობელი ან/და მინდობილობით მფლობელი) არცერთ ბანკის აქციას. შეთავაზების ვადის განმავლობაში შემთავაზებელი არ შეიძენს, ან აწარმოებს მოლაპარაკებას

ბანკის აქციების ან/და მათში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების შესაძენად, ან/და არ გაყიდის საქართველოს ბანკის ფასიან ქაღალდებს.

3.5. სატენდერო შეთავაზების ვადები

(ა) სატენდერო შეთავაზების მიღების თაობაზე დოკუმენტების მიღების დაწყების თარიღი:

სატენდერო შეთავაზების მიღების (თანხმობის) თაობაზე საბუთების მიღება დაიწყება წინამდებარე განცხადების თარიღიდან, ანუ 2011 წლის 21 დეკემბრიდან და გაგრძელდება („შეთავაზების ვადა") 3.5(ბ) პუნქტში მითითებულ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე.

(ბ) ვადა, რომლის განმავლობაშიც შემთავაზებელი იღებს დოკუმენტებს სატენდერო შეთავაზების მიღების თაობაზე:

სატენდერო შეთავაზების მიღების თაობაზე საბუთების მიღება შეწყდება 2012 წლის 24 თებერვალს, თბილისის დროით 21.00 სთ–ზე („სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლა"). შემთავაზებელი იტოვებს უფლებას (მაგრამ არა ვალდებულებას) გადაწიოს სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის თარიღი და დრო და, ასეთ შემთხვევაში, იგი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს შეთავაზების აგენტს და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გააკეთებს საჯარო განაცხადს აღნიშნულთან დაკავშირებით. სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის თარიღი და დრო არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს 2012 წლის 31 მარტის 21.00 სთ–ზე (თბილისის დროით) („შეთავაზების ბოლო ვადა") გვიან. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შეთავაზების პერიოდის გაგრძელება, სატენდერო დოკუმენტებში ნებისმიერი მიმართვა სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლაზე გულისხმობს ამგვარ განახლებულ ვადას.

(გ) შემთავაზებლის მიერ სატენდერო შეთავაზების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება:

თუ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე დაკმაყოფილდება ყველა ის შეთავაზების პირობა (გარდა ლისტინგში დაშვებისა), რაც მოცემულია 3.6 პუნქტში, სავარაუდოდ ლისტინგში დაშვება მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლიდან მომდევნო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება ლისტინგში დაშვების პირობა (რაც წარმოადგენს სატენდერო შეთავაზების უკანასკნელ შესასრულებელ პირობას), შემთავაზებელი განაცხადებს სატენდერო შეთავაზების დასრულების თაობაზე და შეთავაზების აგენტს დაავალებს მოახდინოს შეთავაზების ფარგლებში მიღებული ბანკის აქციების გადაცემა შემთავაზებლისათვის, შემთავაზებლის მიერ შესაბამის აქციონერებზე მისი ახლადემიტირებული აქციების გაცემის სანაცვლოდ. შემთავაზებლის აქციების ემისია და განთავსება მოხდება შეთავაზების აგენტთან არსებულ რეგისტრირებული მფლობელების ფასიანი ქაღალდების შესაბამის ანგარიშებზე, რეგისტრირებული მფლობელების მომდევნო ინსტრუქციების მიღებამდე.

3.6. სატენდერო შეთავაზების პირობები

შემთავაზებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ სატენდერო შეთავაზების განხორციელება დამოკიდებულია შემდეგი პირობების („შეთავაზების პირობები") დაკმაყოფილებაზე, თუკი შემთავაზებელმა ცალმხრივად არ განაცხადა უარი ამგვარი შეთავაზების პირობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების აუცილებლობაზე (გარდა იმ შეთავაზების პირობ(ებ)ისა, რომლებიც არ ექვემდებარება შემთავაზებლის მხრიდან ამგვარ უარის თქმას):

(ა) სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლისათვის სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობა უნდა იქნას განცხადებული (და, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამგვარ თანხმობაზე უარი არ უნდა იქნას განცხადებული) ემიტირებული ბანკის აქციების 80%–თან დაკავშირებით (ან იმ უფრო ნაკლებ რაოდენობასთან დაკავშირებით, რასაც დაადგენს შემთავაზებელი. ამასთან, შემთავაზებლის მიერ დადგენილი რაოდენობა უნდა იყოს სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის მომენტში ემიტირებული ბანკის აქციების 75%–ზე მეტი).

(ბ) შემთავაზებელი წარუდგენს განაცხადს Euroclear UK & Ireland Limited–ს ("Euroclear UK") შემთავაზებლის აქციების CREST–ის (გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში ფასიანი ქაღალდების საანგარიშსწორებო სისტემა) სისტემაში დაშვების თაობაზე და, ლისტინგში დაშვების მომენტისათვის, Euroclear UK–გან არ იქნება მიღებული შეტყობინება ამგვარ განაცხადზე უარის თქმის თაობაზე.

(გ) მოხდება შემთავაზებლის აქციების ლისტინგში დაშვება, ან, თუკი შემთავაზებელი საკმარისად მიიჩნევს, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მომსახურების სააგენტო დაუდასტურებს შემთავაზებელს ან მის წარმომადგენელს (და ამგვარი დადასტურება არ იქნება გაუქმებული), რომ ლისტინგში დაშვების განაცხადი მიღებულ და დამტკიცებულ იქნა და ძალაში შევა სააგენტოს მიერ შესაბამისი შეტყობინების გაცემისთანავე (სააგენტოს მიერ დაწესებული პირობების შესრულების შემთხვევაში) და ლონდონის საფონდო ბირჟა დაადასტურებს, რომ შემთავაზებლის აქციები დაშვებულ იქნება სავაჭროდ ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითად ბაზარზე (და ამგვარი დადასტურება არ იქნება გაუქმებული).

(დ)სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული იქნება ყველა სახის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნები ნებისმიერ იურისდიქციაში და შემთავაზებლისათვის მისაღები ფორმით და პირობებით იქნება მოპოვებული შესაბამისი პირებისაგან ყველა სახის მარეგულირებლის ნებართვა, ბრძანება, მითითება, დადასტურება, ლიცენზია და თანხმობა („თანხმობები"), რაც აუცილებელი ან მიზანშეწონილია სატენდერო შეთავაზების განხორციელებასთან და შემთავაზებლის მიერ ბანკის აქციების (ან სხვა ფასიანი ქაღალდების) შეძენასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მოპოვებულ უნდა იქნას და ძალაში უნდა იყოს ნებისმიერი ის თანხმობები, რაც აუცილებელი ან მიზანშეწონილია საქართველოს ბანკის ჯგუფის ნებისმიერი წევრის მიერ მისი საქმიანობის განსახორციელებლად და სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის მომენტისათვის ამგვარი თანხმობები არ უნდა იყოს გაუქმებული და არ უნდა არსებობდეს საფუძველი მათ გასაუქმებლად, შესაჩერებლად, შესაზღუდად. აღნიშნული პირობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ნებართვის გაცემას შემთავაზებლის მიერ საქართველოს ბანკის მნიშვნელოვანი წილის (50%–ზე მეტი ოდენობით) შეძენაზე.

(ე) არცერთ პირს (ნებისმიერი საბანკო ან/და სხვა მარეგულირებლის ჩათვლით) არ ექნება მიწოდებული შეტყობინება შემთავაზებლისათვის, საქართველოს ბანკისათვის ან სხვა პირისათვის იმის თაობაზე, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რაიმე სახის წარმოების, სარჩელის, გამოძიების ან სხვა მსგავსი ქმედების განხორციელების თაობაზე, ან/და ამ პირთა მიერ არ იქნება მოთხოვნილი რაიმე სახის ქმედების განხორციელება, ან/და მათ მიერ არ იქნება მიღებული იმგვარი საკანონმდებლო აქტი ან გადაწყვეტილება, ან დანერგილი იმგვარი პრაქტიკა, ან/და არ იქნება ძალაში იმგვარი საკანონმდებლო აქტი, გადაწყვეტილება ან მითითება, რამაც შესაძლოა პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდოს, აკრძალოს, შეაფერხოს ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი სატენდერო შეთავაზების განხორციელებას, ან დააწესოს რაიმე სახის მნიშვნელოვანი ხასიათის დამატებითი მოთხოვნები, ვალდებულებები ან/და ცვლილებები სატენდერო შეთავაზებასთან ან შემთავაზებლის მიერ საქართველოს ბანკის ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებით.

(ვ) საქართველოს ბანკის ჯგუფის რომელიმე წევრის მონაწილეობით დადებულ რომელიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებაში ან/და სხვა გარიგებაში, ან მასთან (მის აქტივებთან) დაკავშირებით გაცემულ ლიცენზიაში, ნებართვაში ან სხვა ტიპის ინსტრუმენტში არ უნდა იყოს იმგვარი მნიშვნელოვანი ხასიათის პირობა, და არ უნდა არსებობდეს იმგვარი გარემოება, რაც, სატენდერო შეთავაზების განხორციელების ან შემთავაზებლის მიერ ბანკის აქციების (ან სხვა ფასიანი ქაღალდების) შეძენისა და საქართველოს ბანკის ჯგუფის კონტროლის ან მენეჯმენტის ცვლილების შედეგად, გამოიწვევს საქართველოს ბანკის ჯგუფის რომელიმე წევრის ფინანსური ან საქმიანი მდგომარეობის ან სამომავლო პერსპექტივების მნიშვნელოვან გაუარესებას.

(ზ) არ უნდა არსებობდეს იმგვარი გარემოება (მათ შორის, საომარი მოქმედებები. შეიარაღებული კონფლიქტები, ტერორისტული აქტები ან სხვა სახის ეროვნული კატასტროფები), რამაც, შემთავაზებლის აზრით, შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს შემთავაზებლის, ან მისი შვილობილი ან დაკავშირებული პირების, ან საქართველოს ბანკის ჯგუფის წევრი კომპანიების ბიზნესზე, საქმიანობაზე, ქონებაზე, ფინანსურ ან სხვა მდგომარეობაზე, აქტივებზე, ვალდებულებებზე და სამომავლო პერსპექტივებზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა შეზღუდოს, დააბრკოლოს ან დააყოვნოს სატენდერო შეთავაზების განხორციელება ან იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა საქართველოს ბანკის ჯგუფზე.

იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზების ბოლო ვადამდე არ მოხდება ზემოთ აღნიშნული შეთავაზების პირობების დაკმაყოფილება, ან თუკი შემთავაზებელი ცალმხრივად არ განაცხადებს უარს ამგვარი შეთავაზების პირობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების აუცილებლობაზე (გარდა იმ შეთავაზების პირობ(ებ)ისა, რომლებიც არ ექვემდებარება შემთავაზებლის მხრიდან ამგვარ უარის თქმას) სატენდერო შეთავაზება ჩაითვლება გაუქმებულად. იმ შემთხვევაში, თუ გავა სატენდერო შეთავაზების ვადა ან მოხდება სატენდერო შეთავაზების გაუქმება, მაშინ აღარ მოხდება სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობების მიღება და შემთავაზებელი და ბანკის აქციების რეგისტრირებული მფლობელები აღარ დაექვემდებარებიან იმ ინსტრუქციებსა და სხვა თანხმობის დოკუმენტებში მოცემულ პირობებს, რაც უკვე მიწოდებულ იქნა სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე ან მის გაუქმებამდე.

3.7. სატენდერო შეთავაზების პირობების ცვლილება და ცალკეული პირობების დაკმაყოფილების აუცილებლობაზე უარის თქმის უფლება

(ა) შეთავაზების პირობები დადგენილია შემთავაზებლის მიერ და მის სასარგებლოდ და მათი სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტი დგინდება თავად შემთავაზებლის მიერ, მიუხედავად იმისა, თუ რა უდევს საფუძვლად ამგვარი შეთავაზების პირობების შესრულებას, ან შეუსრულებლობას (მათ შორის, შემთავაზებლის ქმედება ან უმოქმედობა). შესაბამისად, შემთავაზებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი დროს განაცხადოს უარი ამგვარი შეთავაზების პირობ(ებ)ის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების აუცილებლობაზე (გარდა იმ შეთავაზების პირობ(ებ)ისა, რომლებიც არ ექვემდებარება შემთავაზებლის მხრიდან ამგვარ უარის თქმას). შემთავაზებლის მიერ ამგვარი უფლების გამოუყენებლობა ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, არ გულისხმობს ამ უფლებაზე ზოგადად უარის თქმას, და აღნიშნული უფლება შესაძლოა გამოყენებულ იქნას მომავალში. შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე სატენდერო შეთავაზების განცხადების 3.6 პუნქტში გათვალისწინებული გარემოებების არსებობა / არ არსებობის ან დაკმაყოფილების თაობაზე შემთავაზებლის გადაწყვეტილება არის საბოლოო და მავალდებულებელი.

(ბ) შემთავაზებელი იტოვებს უფლებას შეთავაზების ვადის გასვლამდე, საკუთარი შეხედულებისამებრ, გააგრძელოს შეთავაზების ვადა ნებისმიერ თარიღამდე (მაგრამ არაუგვიანეს შეთავაზების ბოლო ვადისა), რის თაობაზეც აცნობებს შეთავაზების აგენტს და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდენს ამგვარი ცვლილებების თაობაზე განცხადების გავრცელებას. შეთავაზების ვადის გაგრძელების, ან სატენდერო შეთავაზების პირობების შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ვებ–გვერდზე: www.bogh.co.uk ან/და www.bankofgeorgia.ge.

(გ) გარდა წინამდებარე შეთავაზების განცხადების 3.7(ბ) პუნქტში მოცემული უფლებებისა, შემთავაზებელი ასევე იტოვებს უფლებას ლისტინგში დაშვებამდე საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს გააუქმოს სატენდერო შეთავაზება და არ შეიძინოს ბანკის აქციები ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის თუ არ იქნა დაკმაყოფილებული შეთავაზების რომელიმე პირობა, ან დადგა წინამდებარე განცხადების 3.6(ე)–(ზ) პუნქტებით გათვალისწინებული გარემოება. ასეთ შემთხვევაში შემთავაზებელი წერილობით აცნობებს შეთავაზების აგენტს და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდენს ამგვარი გაუქმების თაობაზე განცხადების გავრცელებას. შეთავაზების გაუქმების თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობებათ საქართველოს ბანკის აქციონერებსაც.

(დ)თუ სატენდერო შეთავაზების ფარგლებში შემთავაზებლის მიერ არ იქნება მიღებული ბანკის აქციები (მათ შორის, სატენდერო შეთავაზების გაუქმების ან ვადის გასვლის გამო), ამგვარი აქციები დარჩება შეთავაზების აგენტის ნომინალურ მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, შეთავაზების აგენტი აცნობებს ბანკის აქციების შესაბამის რეგისტრირებულ მფლობელებს, რომ იგი მზადაა დაუბრუნოს მათ მათი კუთვნილი ბანკის აქციები მფლობელთა მითითებების შესაბამისად.

3.8. ინფორმაცია შეთავაზების აგენტის შესახებ

შეთავაზების აგენტად დანიშნულია – სს „ბიჯი კაპიტალი" – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი – 211359206, საბროკერო საქმიანობის ლიცენზია ნომერი 20021, იურიდიული მისამართი: თბილისი 0169, ჭავჭავაძის 74(ა), ტელ.: +995 322 444685.

3.9. სატენდერო შეთავაზების მიღების პროცედურა

ბანკის აქციების რეგისტრირებულ მფლობელთა მიერ ქვემოთ მოცემული პროცედურების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის არასწორად ან არასრულად განცხადება. შესაბამისად, ის ბანკის აქციები, რომლებთან მიმართებაშიც მიღებულია არასწორი ან არასრული თანხმობები, შესაძლოა არ იქნას განხილული სატენდერო შეთავაზების ფარგლებში.

იმ რეგისტრირებულმა მფლობელებმა, რომელთაც სურთ განაცხადონ თანხმობა სატენდერო შეთავაზებაზე მათ მფლობელობაში არსებულ ბანკის აქციებთან, ან მათ ნაწილთან მიმართებაში, უნდა დაიცვან ქვემოთ მითითებული, და ასევე, სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმასა და სერტიფიცირების ფორმაში მოცემული პროცედურები. კონკრეტული პროცედურები სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განსაცხადებლად განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით ფლობენ შესაბამისი აქციონერები ბაკის აქციებს – (ა) როგორც რეგისტრირებული მესაკუთრეები სს „კავკასრეესტრში" (შემდგომში – „რეგისტრატორი") არსებულ მათ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე; (ბ) შეთავაზების აგენტის მეშვეობით, რეგისტრატორში შეთავაზების აგენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე; თუ (გ) სხვა საბროკერო კომპანი(ებ)ის მეშვეობით (გარდა შეთავაზების აგენტისა), რეგისტრატორში ამ საბროკერო კომპანი(ებ)ის ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე.

გარდა აღნიშნულისა, სგხ–ების მფლობელთა მიერ სატენდერო შეთავაზების მიღებასთან დაკავშირებით, ამგვარი სგხ–ების მფლობელებმა უნდა გაითვალისწინონ შემთავაზებლის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე გდხ–ებთან დაკავშირებით გაკეთებული სატენდერო განაცხადის პირობები.

(ა) საქართველოს ბანკის იმ აქციონერებმა, რომელთაც სურთ სატენდერო შეთავაზების მიღება ბანკის აქციებთან (ან მათ ნაწილთან) დაკავშირებით, უნდა განახორციელონ ქვემოთ მითითებული ქმედებები:

(ა.ა) ბანკის აქციების რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა, რომლებიც ბანკის აქციებს ფლობენ რეგისტრატორში არსებულ მათ პირად ანგარიშზე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შეთავაზების ვადის გასვლამდე უნდა:

(ა.ა.1) გახსნან საბროკერო და ნომინალური მფლობელობის ანგარიში („საბროკერო ანგარიში") შეთავაზების აგენტთან აუცილებელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარდგენისა და შესაბამისი განაცხადის შედგენის გზით;

(ა.ა.2) შეავსონ და მიაწოდონ შეთავაზების აგენტს სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა და სერტიფიცირების ფორმა;

(ა.ა.3) სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე რეგისტრატორის თანდასწრებით ხელი მოაწერონ გადასაცემ განკარგულებას (ან უზრუნველყონ მინდობილი პირის მიერ აღნიშნული გადასაცემი განკარგულების ხელმოწერა) შესაბამისი ოდენობის ბანკის აქციების შეთავაზების აგენტის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის თაობაზე. შეთავაზების აგენტის ნომინალურ მფლობელობაში ბანკის აქციების გადაცემას შესაძლოა დასჭირდეს რამდენიმე დღე და ამდენად, მიზანშეწონილია, აღნიშნული ქმედება განხორციელდეს სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე საკმარისი დროით ადრე);

(ა.ა.4) ხელი მოაწერონ და მიაწოდონ შეთავაზების აგენტს დავალების ფორმა („დავალების ფორმა"), რომლითაც განსაზღვრული იქნება, რომ თუკი შეთავაზების ვადის გასვლამდე ბანკის აქციონერის მიერ არ იქნა განცხადებული წერილობითი უარი მის მიერ გაცემულ თანხმობაზე და თუ სატენდერო შეთავაზების პირობების შესაბამისად სატენდერო შეთავაზება გამოცხადდება წარმატებულად განხორციელებულად, შეთავაზების აგენტმა უნდა მოახდინოს ბანკის აქციების გადაცემა შემთავაზებლისათვის და სანაცვლოდ მიიღოს შემთავაზებლის აქციები. ამასთან, დავალების ფორმით გათვალისწინებული იქნება იმ ბანკის აქციების განკარგვის შეზღუდვა (ბლოკირება), რომელთან დაკავშირებითაც სატენდერო შეთავაზებაზე განცხადებულ იქნა თანხმობა.

(ა.ბ) ბანკის აქციების რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა, რომლებიც ბანკის აქციებს ფლობენ შეთავაზების აგენტის (როგორც ნომინალური მფლობელის) მეშვეობით და რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საბროკერო ანგარიში შეთავაზების აგენტთან, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შეთავაზების ვადის გასვლამდე უნდა ხელი მოაწერონ და მიაწოდონ შეთავაზების აგენტს დავალების ფორმა და ასევე, შეთავაზების აგენტს მისცენ ინსტრუქცია სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმისა და სერტიფიცირების ფორმის შევსების თაობაზე.

(ა.გ) ბანკის აქციების რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა, რომლებიც ბანკის აქციებს ფლობენ ნებისმიერი სხვა საბროკერო კომპანიის (გარდა შეთავაზების აგენტისა), როგორც ნომინალური მფლობელის, მეშვეობით, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შეთავაზების ვადის გასვლამდე უნდა:

(ა.გ.1) მისცენ დავალება თავის საბროკერო კომპანიას, რათა ამ უკანასკნელმა გახსნას საბროკერო ანგარიში შეთავაზების აგენტთან და გადასცეს ბანკის აქციები შეთავაზების აგენტს ნომინალურ მფლობელობაში, ხოლო თუ საბროკერო კომპანიას უკვე გააჩნია საბროკერო ანგარიში შეთავაზების აგენტთან, მისცენ დავალება საბროკერო კომპანიას, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს ბანკის აქციები შეთავაზების აგენტს ნომინალურ მფლობელობაში. დამატებით, რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა უნდა მისცენ დავალება საკუთარ საბროკერო კომპანიას, რათა მან ხელი მოაწეროს და მიაწოდოს შეთავაზების აგენტს დავალების ფორმა და ასევე, მისცენ ინსტრუქცია სატენდერო

შეთავაზებაზე თანხმობის ფორმისა და სერტიფიცირების ფორმის შევსების და შეთავაზების აგენტისათვის მიწოდების თაობაზე.

ან

(ა.გ.2) ამგვარ საბროკერო კომპანიაში არსებული ანგარიშიდან ბანკის აქციები გადაიტანონ რეგისტრატორთან გახსნილ მათ პირად ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე და შეასრულონ 3.9(ა.ა) პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები.

საბროკერო კომპანიებმა (გარდა შეთავაზების აგენტისა) შესაძლოა დამოუკიდებლად დააწესონ ვადები მათი კლიენტებისაგან შესაბამისი დავალებების მიღებაზე სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით. ამდენად, აქციონერები, რომლებიც ფლობენ ბანკის აქციებს საბროკერო კომპანიების (გარდა შეთავაზების აგენტისა) მეშვეობით, უნდა დაუკავშირდნენ შესაბამის საბროკერო კომპანიებს ან მათ წარმომადგენლებს ამგვარი ვადების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.

(ბ) სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა და სერტიფიცირების ფორმა (ნებისმიერ თანდართულ დოკუმენტთან ერთად) უნდა მიეწოდოს შეთავაზების აგენტს (მის უფლებამოსილ წარმომადგენელს) პირადად, ფოსტის, კურიერის ან ფაქსის მეშვეობით შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე. საბუთების მიწოდება უნდა მოხდეს ჩვეულებრივი სამუშაო საათების განმავლობაში შემდეგ რეკვიზიტებზე:

- **ფოსტით:** საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ., №7.
- **პირადად ან კურიერის მეშვეობით:** საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ., №7.
- **ფაქსით:** +995 322 235 804 (ეკატერინე გვეტაძის საყურადღებოდ)

სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმის მიწოდების ნაცვლად, ბანკის აქციების რეგისტრირებულ მფლობელს შეუძლია სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობა ზეპირად განუცხადოს შეთავაზების აგენტს, იმ პირობით, რომ შეთავაზების აგენტი წერილობით დაუდასტურებს მას თანხმობის მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობა მიღებულ იქნება იმ ბანკის აქციებთან დაკავშირებით, რომელთაც ფლობს ერთზე მეტი თანამესაკუთრე, სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა და სერტიფიცირების ფორმა უნდა შეივსოს ყველა თანამესაკუთრის მიერ.

(გ) სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმა და სერტიფიცირების ფორმა ხელმისაწვდომია რეგისტრატორთან, შეთავაზების აგენტთან ან/და შემდეგ ვებ–გვერდზე: www.bogh.co.uk ან/და www.bankofgeorgia.ge.

(დ) სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადება ნებისმიერი არასწორი ან არასრული ფორმით, გარდა სატენდერო დოკუმენტებში გათვალისწინებული წესისა, ან თანხმობა, რომელსაც თან არ დაერთვება მოთხოვნილი დოკუმენტები, შემთავაზებლის

ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა ჩაითვალოს ბათილად და დაუბრუნდეს ბანკის აქციების რეგისტრირებულ მფლობელს.

4. სხვა ინფორმაცია

(ა) გარდა იმ შემთხვევებისა, რაც ასახულია ქვემოთ ან/და სატენდერო დოკუმენტებში, შემთავაზებლის ან/და საქართველოს ბანკის მიერ არ მოხდება ბროკერების, რეგისტრატორის ან სხვათა მომსახურების ხარჯების დაფარვა სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით. შემთავაზებელი ან/და საქართველოს ბანკი ფარავენ სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული მასალების ბეჭდვისა და ბანკის აქციების მფლობელებისათვის მიწოდების ხარჯებს, ასევე შეთავაზების აგენტისა და რეგისტრატორის მომსახურების ხარჯებს (გარდა აქციების მფლობელებისათვის გაწეული მომსახურებისათვის დადგენილი სტანდარტული ტრანზაქციული საკომისიო და მსგავსი ხარჯებისა). შემთავაზებელი ან/და ბანკი ასევე დაფარავენ ბანკის აქციების კვლავ რეგისტრატორში რეგისტრაციის ხარჯებს, თუკი მოხდება სატენდერო შეთავაზების გაუქმება. ამასთან, ბროკერებმა და სხვა მესამე პირებმა, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ბანკის აქციების მფლობელებს სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით, შესაძლოა აღნიშნულ მფლობელებს გაწეული მომსახურებისათვის დააკისრონ მომსახურების საზღაური. რეგისტრირებული მესაკუთრეები პასუხისმგებლები იქნებიან იმ გადასახადების გადახდაზე, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით დაეკისრებათ სატენდერო შეთავაზების მიღებასა და ბანკის აქციების გადაცემასთან დაკავშირებით.

(ბ) სატენდერო შეთავაზების ფარგლებში არ მოხდება დანაწევრებული შემთავაზებლის აქციების გაცემა.

(გ) სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმასა და სერტიფიცირების ფორმაში მითითებული პირობები, დებულებები, მითითებები და უფლებამოსილებები წარმოადგენს სატენდერო შეთავაზების პირობებს. თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმასა და სერტიფიცირების ფორმაში გამოყენებულ ტერმინებს ექნებათ იგივე მნიშვნელობა, რაც წინამდებარე სატენდერო შეთავაზების განცხადებაში (ან/და სხვა სატენდერო დოკუმენტებში) მოცემულ განმარტებებს.

(დ)შემთავაზებელს არ ევალება პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით დაადასტუროს სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმისა და სერტიფიცირების ფორმის მიღება, საანგარიშსწორებო სისტემის მეშვეობით ფასიანი ქაღალდების გადაცემა, შეტყობინების ან სხვა სახის კომუნიკაციის, ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების დოკუმენტ(ებ)ის მიღება ან ჩაბარება (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით). ნებისმიერი სახის კომუნიკაციის, შეტყობინებების, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების მიწოდება, რასაც გზავნიან ბანკის აქციების რეგისტრირებული მფლობელები ან ეგზავნებათ მათ (მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს), განხორციელდება ამგვარი რეგისტრირებული მფლობელების რისკით.

(ე) სატენდერო შეთავაზება ხორციელდება ყველა ემიტირებულ და ემიტირებად ბანკის აქციაზე, რაც უფრო დეტალურად ასახულია წინამდებარე განცხადების 3.2 პუნქტში. იმის

გათვალისწინებით, რომ სრულად და ჯეროვნად იქნება დაცული შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები, სატენდერო შეთავაზების დოკუმენტების ან/და შესაბამისი შეტყობინებების მიუწოდებლობა, ან მათი მიღების შეუძლებლობა იმ პირთა მიერ, ვის საყურადღებოდაც კეთდება სატენდერო შეთავაზება, არ გამოიწვევს სატენდერო შეთავაზების ბათილობას და, შესაბამისად, არ უნდა იქნას განხილული, თითქოს სატენდერო შეთავაზება არ განხორციელდა ამგვარი პირის მიმართ.

(ვ) წინამდებარე განცხადების პირობების შესაბამისად სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის განცხადებით, შესაბამისი რეგისტრირებული მფლობელები ადასტურებენ შემთავაზებლის უფლებამოსილებას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სათანადო უფლებამოსილების მქონე მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნისთანავე მიაწოდონ მათ ინფორმაცია სატენდერო შეთავაზების ფარგლებში მიღებულ თანხმობებთან დაკავშირებით.

(ზ) სატენდერო შეთავაზებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული დავები განიხილება ინგლისისა და უელსის შესაბამისი კომპენტენციის სასამართლოების მიერ, გარდა იმ საკითხებთან დაკავშირებული დავებისა, რომელთან მიმართებაშიც საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

(თ) მიუხედავად სატენდერო დოკუმენტაციის სხვა დებულებებისა, შემთავაზებელი იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიჩნიოს შეთავაზების აგენტისათვის (ან შემთავაზებლისათვის) მიწოდებული ნებისმიერი თანხმობა სათანადო წესით მიწოდებულად, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი თანხმობა შესაძლოა არ იყოს სრულყოფილად ან სწორად შევსებული, ან არ ერთვოდეს სათანადო დოკუმენტები ან ინსტრუქციები, ან მიწოდებული იყოს იმ მისამართზე ან იმ ფორმით, რასაც დაადგენს შეთავაზების აგენტი ან შემთავაზებელი სატენდერო დოკუმენტაციისაგან განსხვავებული ფორმით. ასეთ შემთხვევაში, შემთავაზებელი უფლებამოსილია შეაჩეროს შემთავაზებლის აქციების გადაცემა მანამ, სანამ ბანკის აქციების რეგისტრირებული მფლობელი შეთავაზების აგენტს წარუდგენს სრულყოფილ თანხმობებს ან/და სხვა დოკუმენტებს, ან შემთავაზებლისათვის მისაღები ფორმით შესრულებულ დოკუმენტს შემთავაზებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე.

(ი) წინამდებარე სატენდერო შეთავაზების განცხადებაში ნებისმიერი მიმართვა საკანონდებლო აქტზე, ან საკანონმდებლო აქტის დებულებაზე, გულისხმობს მასში დროდადრო შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას და დამატებასაც.

(კ) ბანკის აქციების რეგისტრირებულ მფლობელებს შეუძლიათ სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული კითხვებითა და განმარტებებისათვის მიმართონ შეთავაზების აგენტს ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე.

შეთავაზების აგენტი არ გასცემს რაიმე სახის რეკომენდაციას ან საინვესტიციო რჩევას სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით, არამედ ბანკის აქციების რეგისტრირებულ მფლობელებს გაუწევს დახმარებას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის მიზნით.

სატენდერო დოკუმენტები და სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული ნებისმიერი განცხადება, ასევე შეთავაზების აგენტის საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ–გვერდზე: www.bogh.co.uk ან/და www.bankofgeorgia.ge. სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის (მათ შორის, სატენდერო შეთავაზებაზე თანხმობის ფორმისა და სერტიფიცირების ფორმის) მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ შეთავაზების აგენტს:

სააქციო საზოგადოება „ბიჯი კაპიტალი"

ფოსტით: საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ., №7.

ტელეფონით: +995 322 44 46 85
ელ. ფოსტით: bo@bgcap.ge

შეთავაზების აგენტის წარმომადგენელი ასევე იქნება რეგისტრატორის ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0169, ჭავჭავაძის გამზ. 74(ა) / მოსაშვილის ქ. 11, სართ. 2 – სს „კავკასრეესტრი".